სასტუმროს საშუალო ფასები საქართველოში და სასტუმროს ფასების ინდექსი

PMCG Research

იანვარი 2024

2024 წლის იანვარში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[1] **143 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა **- 248 ლარი,** ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების[2] საშუალო ფასმა **125 ლარი** შეადგინა.

5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა იანვარში **418 ლარი** შეადგინა. კახეთში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 639 ლარი შეადგინა, თბილისში - 498 ლარი, გურიაში - 538 ლარი, ხოლო აჭარაში - 328 ლარი.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები
რეგიონების მიხედვით (2024 იანვარი, ლარი)



გრაფიკი 1: 3, 4 ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროებში სტანდარტული 2 ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასები იხილეთ ტექსტში).

სასტუმროს ფასების ინდექსი

საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 2024 წლის იანვარში, 2023 წლის დეკემბერთან შედარებით, 6.6%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 6.5%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 8.7%-ით შემცირდა.

2024 წლის იანვარში, 2023 წლის იანვართან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 6.7%-ით შემცირდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 7.6%-ით შემცირდა, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 16.7%-ით შემცირდა.

რეგიონი	სასტუმრო		3*, 4*, 5*		საოჯახო	
	2024 იან/ 2023 დეკ	2024 იან/ 2023 იან	2024 იან/ 2023 დეკ	2024 იან/ 2023 იან	2024 იან/ 2023 დეკ	2024 იან/ 2023 იან
კახეთი	2.3%	2.4%	17.3%	1.1%	-2.9%	3.2%
იმერეთი	3.4%	12.1%	-1.8%	6.4%	12.1%	20.6%
გურია	31.5%	34.5%	31.5%	34.5%	-	-
ქვემო ქართლი	-	-	-	-	-	-
აჭარა	-1.8%	-9.8%	-5.1%	-9.7%	13.7%	-10.9%
რაჭა	3.6%	15.5%	-	-	3.6%	15.5%
შიდა ქართლი	-2.9%	3.5%	18.4%	-7.2%	-9.2%	22.1%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-3.0%	9.1%	-3.8%	-6.3%	-2.2%	24.8%
სამცხე-ჯავახეთი	-11.8%	9.3%	-8.5%	1.3%	-13.9%	20.1%
მცხეთა-მთიანეთი	1.3%	-1.0%	1.5%	1.1%	0.0%	-6.2%
თბილისი	-10.3%	-10.9%	-9.7%	-10.1%	-17.5%	-28.5%
სულ ფასების % ცვლილება	**-6.6%**	**-6.7%**	**-6.5%**	**-7.6%**	**-8.7%**	**-16.7%**

ცხრილი 1: ფასების % ცვლილება 2024 წლის იანვარში, 2023 წლის დეკემბრის ფასებთან და 2023 წლის იანვრის ფასებთან შედარებით

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.
3 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.